ელგუჯა მაკარაძე (ბათუმი)

ქართული ფოლკლორის ისტორიული ტიპები

ფოლკლორის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა, რომლის აუცილებლობაც არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, ცხადია, პირველ რიგში, მის პერიოდიზაციას, ქრონოლოგიურ სტრატიფიკაციას გულისხმობს, თუმცა, ამოცანა, რომლის წინაშეც ამ დროს ზოგადი ფოლკლორისტიკა დგას, ობიექტურად რთული და, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად გადაუჭრელია. საქმე ისაა, რომ უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ფოლკლორული ტექსტების ადრეული ჩანაწერები სულ რაღაც ორ საუკუნეს მოითვლის და ეს მაშინ, როდესაც ფოლკლორის ისტორია ათასობით წელს მოიცავს. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერები არ გვაძლევს საშუალებას დოკუმენტური სიზუსტით აღვადგინოთ ის გზა, რომელიც ფოლკლორმა უძველესი დროიდან დღემდე გამოიარა, ამიტომ არის, რომ სავსებით ლოგიკურ კითხვას: „შეიძლება თუ არა არსებობდეს დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ზეპირსიტყვიერების ისტორიას ლიტერატურის ისტორიის ანალოგიურად?“, მეტწილად ასე პასუხობენ: „ლიტერატურის შემსწავლელისათვის ადვილია ან პრინციპულად შესაძლებელი ლიტერატურული პროცესის თვალის გადევნება დასაბამიდან მის დღემდე“, მაშინ როცა ,,ფოლკლორის შემთხვევაში ამ ქრონოლოგიურად გაწყობილ ძაფს ჩვენ მოკლებული ვართ. რამდენადაც ფოლკლორი-ხალხური შემოქმედება ზეპირსიტყვიერი შემოქმედებაა, ჩვენთვის სამუდამოდ უცნობად რჩება ის ნაწარმოები, ლექსი თუ პროზაული იგავი, საიდანაც მის ისტორიას დავიწყებდით“ . ამასთან, რაკი ,,თავად მასალის აქრონულობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში უძველესი გამოვარჩიოთ და, ლიტერატურის ისტორიის ანალოგით, ის დავაყენოთ ზეპირსიტყვიერი შემოქმედებითი პროცესის სათავეში, დაწყებისათვის ნებისმიერი არჩევანი გამართლებული უნდა იყოს,“- აღნიშნავს ზ. კიკნაძე (კიკნაძე, 2006: 19-20). მართლაც, თუკი აკადემიურ ლიტერატურათმცოდნეობაში ამჯობინებენ ავტორებისა და მათი ტექსტების ქრონოლოგიური პრინციპით დალაგება-შესწავლას, ფოლკლორისტები მიმართავენ მასალის ჟანრულ, თემატურ, ტიპოლოგიურ ან სტადიურ-ტიპოლოგიურ სტრატიფიკაციას. ფოლკლორული ტექსტი უდაოდ წარმოადგენს „ცოცხალ სიძველეს“, მის ყოველ სიუჟეტში, ყოველ თხრობაში, ყოველ სახეში ერთმანეთშია აზელილი სხვადასხვა ეპოქის კვალი, მაგრამ ის უპირატესად მაინც ჩაწერის დროისათვის არსებულ ვითარებას ასახავს. ამიტომ, დათარიღება ზეპირი ტექსტისა ყოველთვის პირობითია და თან აზრსმოკლებული. ამაოა იმის რკვევა, თუ როდის, სად, ვის მიერ შეიქმნა ცალკეული ტექსტი როდის შევიდა ზეპირბრუნვაში, რა გზა გამოიარა ცალკე აღებულმა რომელიმე ტექსტმა (ტექსტებმა) ჩაწერა-ფიქსაციამდე. განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, ასეთი ამოცანა არც დგას ფოლკლორისტიკის წინაშე, რადგან ზეპირი ტექსტი რეალურად არსებობს წარმოთქმის, შესრულების პროცესში, ხოლო იქამდე ყველაფერი ის, რის რეალიზებაც შესრულების დროს ხდება

(ჟანრული მოდელი, სიუჟეტური ჩარჩო, თემატური ბლოკები, სტილური კლიშეები და ა. შ.) მეტწილად ტექსტამდელ სტატუსს ატარებს, მიეკუთვნება არა იმდენად მოცემული კონკრეტული ტექსტი, რომელიც ტრანსლირდება აქ, რამდენადაც მთლიან ტრადიციას (საერთოფოლკლურს, ჟანრულს, ტექსტურს).

შესაბამისად, ფოლკლორული ტექსტი, ლიტერატურული ნაწარმოებისგან განსხვავებით, უპირველეს ყოვლისა, გამოდის არა როგორც ინდივიდუალური ნიმუში, არამედ ტიპების, კლასების, ფორმების, საერთოდ, ტრადიციის რეპრეზენტაცია-მანიფესტაცია. მართლაც, ფოლკლორული ტექსტების იმ ჩანაწერებში, რომლებზეც ხელი მიგვიწვდება, ფიქსირდება არა მარტო სიახლეები, კონკრეტულმა ეპოქამ რომ მოიტანა, არამედ მემკვიდრეობაც გარდასული ეპოქებისა, თუმცა, არა იმდენად ხსოვნა, ინფორმაცია წარსულზე, რამდენადაც საზოგადოებრივი ცნობიერების მატრიცები და მათი ტრანსფორმაციის საფეხურები. შესაბამისად, ზეპირი ტრადიცია, რომელიც ავლენს უნარს, შემოინახოს წარმოშობით ძველი (მითოლოგიური, ისტორიული, კვაზისტორიული) თემები, იდეები, სახეები, საერთოდ, თაობების მიერ დაგროვილი ცოდნა, შეიძლება განვიხილოთ, როგორც „საინფორმაციო არხი“-ინფორმაციის, ცოდნის დაცვის, გადაცემის, განახლების საშუალება. ფოლკლორის ისტორია უწყვეტი ჯაჭვია ცოცხალი, დინამიკური შემოქმედებითი აქტებისა, რომლებიც იცვლება ეთნოსის (ეთნოსების) სულიერი კულტურის განვითარების კვალდაკვალ. განსხვავებულ ეპოქებს მოაქვს განსხვავებული ტრადიციები, რაც დაკავშირებულია ისტორიული რეალიების, მსოფლმხედველობის, ესთეტიკური აღქმის, გემოვნების და სხვა არსებით თუ არაარსებით ცვლილებასთან, კონკრეტული ეპოქის მოთხოვნასთან. ცვლილება კონკრეტულად აისახება თემატიკაში, პრობლემატიკაში, მხატვრული გამოსახვის ფორმებში, ჟანრულ სტრუქტურაში. ნათქვამი ერთნაირად შეეხება ყველა ხალხის სიტყვიერებას. ამიტომ, ფოლკლორის განვითარების ისტორიული სტადიების გამოკვეთა, მონიშვნა უნდა დაემყაროს მის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას-მემკვიდრეობითობას, შემოქმედებითი აქტების თანმიმდევრობას. ფოლკლორული ისტორიის დაწერა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, გულისხმობს არა ცალკეული ტექსტის (ტექსტების) ისტორიის გადმოცემას, არამედ მთლიანად ხალხური შემოქმედების ტრადიციული მდგომარეობების რეკონსტრუქციას და მათი დროში მონაცვლეობის აღწერას. ამ დროს უკვე ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შესაძლოა „...ახლადშექმნილი უფრო ძლიერი ტრადიციულობით იყოს აღბეჭდილი, ვიდრე ქრონოლოგიურად მასზე ადრე შექმნილი. ამ აზრით, შესაძლოა, „ვეფხვი და მოყმე“ უფრო მეტი სიძველით ხასიათდებოდეს, ვიდრე „ამირანიანის“ ზოგიერთი ჩანაწერი“ (კიკნაძე, 2006: 20) და ეს იმიტომ, რომ ხალხურ შემოქმედებაში უძველესი, არქაული, გნებავთ, მითოლოგიური მოდელები, მატრიცები, უკვე დესაკრალიზებული, დემითოლოგიზირებული, პერიოდულად აღდგება, როგორც ტექსტისქმნადობის პროგრამა. ასეთია „კოლექტიური არაცნობიერი“ აზროვნების ბუნება, რომელსაც ფოლკ-

კულტურა ემყარება. მეტიც, სწორედ ის, რომ ხალხურ შემოქმედებაში ახალწარმონაქმნის გვერდით ძველიც ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, მოდის თუ არა მასთან წინააღმდეგობაში (მეტწილად კი მასთან ერთად ჰიბრიდულ მთლიანობას ქმნის), გვაძლევს საშუალებას ფოლკლორის ისტორიაში გამოვკვეთოთ ძირითადი სტადიები, ეტაპები, პერიოდები, უკეთ, ტრადიციულობის ტიპები. ასეთი მიდგომის შემთხვევაში უკვე დაუძლეველ დაბრკოლებას აღარ წარმოადგენს ის, რომ ფოლკლორული ტექსტების უხსოვარი დროდან დღემდე და უკიდეგანო სივრცეში რეალიზაციის ყველა ფაქტი მკვლევრისათვის მიუწვდომელი იდეალია. არც ის, რომ არსებული ჩანაწერები წარმოადგენს სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ენისა და კულტურის საშემსრულებლო ტრადიციისა და სტილის ტექსტების კონგლომერატს, ერთი შეხედვით, ამორფულ მასას. განვითარების იმანენტური, უნივერსალური კანონზომიერებანი თვით ფოლკლორის შიგნით იკვეთება და მკვლევრის თვალსაწიერის არეშიც ხვდება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, აქ ტრადიციულობის ტიპები დროში მონაცვლეობს და, იმავე დროს, გვედიგვერდ არსებობს. ყველაფერ ამას კი შემჩნევა სჭირდება და სწორი მეთოდოლოგიის მონახვა, რათა დავუმორჩილოთ იმ სამანიპულაციო სქემებს, რომლებიც ზოგად ფოლკლორისტიკას თავის არსენალში აქვს. ამ დროს საჭიროა არა მარტო ფოლკლორული მონაცემების, არამედ არატექსტური რეფერენციების (ისტორიული რეალიების, ტოპონიმიკის, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, წერილობითი, ლინგვისტური ცნობების) გათვალისწინებაც. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ასეთი კომპლექსური მიდგომის შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია ფოლკლორის ყოვლისმომცველი ისტორიის დაწერა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გამოვკვეთოთ ფოლკლორის ტრადიციულობის ტიპები, სქემატურად აღვწეროთ ისინი, მივუთითოთ მათ დომინანტურ როლზე ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე და შეძლებისგვარად, მოვნიშნოთ თითოეული ეტაპის ქრონოლოგიური ჩარჩო.

ქართულ ფოლკლორისტიკაში ზეპირსიტყვიერების ისტორიაში პერიოდების, ეტაპების, საფეხურების გამოყოფის საკითხი ადრევე დადგა. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველამ ფშავლების პოეზიაში შეამჩნია ორი პლასტი-ძველი და ახალი. მათ შორის კი განსხვავება დაინახა თემატიკაში, პრობლემატიკაში, განწყობილებაში, შემოქმედებით პათოსში (ვაჟა-ფშაველა,1937:99-100). ქართული აკადემიური ფოლკლორისტიკის გარიჟრაჟზე, ალ. ხახანაშვილი, რუსული ისტორიული სკოლის გავლენით, ხალხური შემოქმედების განვითარებაში გამოყოფდა მითიურ, გმირულ და ისტორიულ პერიოდებს (ხახანაშვილი, 1905:4-5). მომდევნო პერიოდის ფოლკლორისტები (ჩიქოვანი, ე. ვირსალაძე, ქ. სიხარულიძე) ამკვიდრებენ ტრადიციას, რომლის მიხედვით ერთმანეთისაგან განირჩევა ძველი და ახალი ზეპირსიტყვიერება. ძველი ზეპირსიტყვიერების აღსანიშნად ხშირად სხვა ტერმინებიც გამოიყენება: წარმართული, არქაული, პრეისტორიული, კლასიკური, ტრადიციული. ხოლო ახალ ანუ თანამედროვე ზეპირსიტყვიერებაში, ცნობილი იდეოლოგიური კლიშეს გავლენით, მეტწილად, ე. წ. საბჭოთა, ძირითადად, მუშათა

ფოლკლორი იგულისხმებოდა. საგულისხმოდ მიგვაჩნია საკითხისადმი ხალხური ლექსის აღიარებული სპეციალისტის, ჯ. ბარდაველიძის, მიდგომა: მკვლევარი ხალხური ლექსის ისტორიაში გარდამტეხ მოვლენად მიიჩნევს მწერლობის აღმოცენებას და შესაბამისად, მიჯნას ავლებს ლიტერატურამდელ და ლიტერატურული ეპოქის ხალხურ ლექსს შორის (ბარდაველიძე, 1998,1999). ამდენად, ქართულ ფოლკლორისტიკაში ზეპირსიტყვიერების ისტორიული სტრატიფიკაციის საკითხი უცხო არ არის, თუმცა, საკითხის გაშუქებაში მეტი სიცხადის, სიზუსტის, კონკრეტიკის, განსაკუთრებით, უფრო რელევანტური ტერმინების შემოტანის ამოცანა კვლავ დგას დღის წესრიგში. ვფიქრობთ, ფოლკლორის ისტორიაში, მისი ტრადიციულობის ტიპების გათვალისწინებით, შეიძლება გამოვყოთ სამი პერიოდი: 1) არქაული 2) კლასიკური 3) პოსტკლასიკური.

არქაული ფოლკლორის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ყველაზე ვრცელ პერიოდს-დღიდან მისი აღმოცენება-ფორმირებისა ვიდრე დამწერლობის (მწიგნობრობის) ჩამოყალიბებამდე და ქრისტიანული რელიგიის საყოველთაო გავრცელებამდე. რთულია იმის განსაზღვრა, რადროიდან დავიწყოთ საკუთრივ ფოლკლორული შემოქმედების ძირების ათვლა, უხსოვარი დროის სამანებში ჩაკარგული შემოქმედების ამ ფორმისა. ამასთან, მრავალრიცხოვანი კვლევით დადგენილია, რომ ფუნდამენტური პრინციპი, რაც ახასიათებს არქაულ ცნობიერებას, არის მისი დაუნაწევრებელი ხასიათი, სინკრეტიზმი, რომელიც მსჭვალავს მთელს ძველ კულტურებს-დაწყებული მისი მატარებლის გრძნობად-კონკრეტული აღქმით, დამთავრებული იდეოლოგიური სტრუქტურით-მითებით, რელიგიით, ხელოვნებით. საერთოდ, არქაული მითო-რიტუალურ კომპლექსში სიტყვის ემანსიპაცია ხანგრძლივი პროცესია, მოიცავს ათასობით წელს. ის დაკავშირებულია ადამიანის ყოფაში და ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებებთან. სინკრეტიზმის ეპოქაში სიტყვა, გამონათქვამი არ არის გამოყოფილი საგნისგან, იმისგან, რასაც აღნიშნავს. ამ დროს ტროპი, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არსებობს, თუმცა მისი ვერბალური გამოსახულებები მითო-პოეტური აზროვნების წიაღში ჩაისახა (მაკარაძე, 2013: 88). უნდა ვივარაუდოთ, რომ აქვე ჩამოყალიბდა იმ ხატების, როგორც კონცეპტების, მდგრადი სისტემა, რომელსაც აღნიშნული ვერბალური გამოსახულებანი ატარებენ. მაგალითად, ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურაში (III ათასწლეული ჩვენს ერამდე) თავს იჩენს მითოსური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი სემანტიკური მწკრივი: ღვთაება, ირემი, ფრინველი, გველი, თევზი, რომელთა საშუალებით გააზრებული და გადამუშავებული იყო სინამდვილე (ხიდაშელი, 2001:117). აღნიშნულმა ხატებმა, გარკვეული ცვლილებებით, მოაღწია ქრისტიანულ ეპოქამდე. ამ ეპოქაშივე შემუშავდა დროის ციკლურობის წესი, ხოლო კერამიკაზე ჩანს კომპოზიციის აგების თავისებური პრინციპი: სიბრტყე დაყოფილია ჰორიზონტალურ ფრიზებად, რომლებზეც განლაგებულუია ვერტიკალები-სხვადასხვა გეომეტრიული სახე. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ უკვე არსებობს მარტივი თხრობები, ნარატივები, რომლებიც გარკვეული წესის შესაბამისად

არის სტრუქტურირებული. სასიმღერო-პოეტური სიტყვის გვერდით ჩნდება „პროზაული“ სიტყვა. თანდათანობით ყალიბდება ყოველდღიური მეტყველებისაგან განსხვავებული, თავისებურად სტრუქტუირებული ენა.

კლასიკური ფოლკლორის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ორმა ფუნდამენტურმა ისტორიულ-კულტურულმა ფაქტორმა-დამწერლობი(მწიგნობრობის) შექმნამ და ქრისტიანობის გავრცელებამ. მწიგნობრობის შექმნა-გავრცელებით ფოლკლორს, როგორც ცოდნის გენერირების, შენახვისა და გადაცემის აქამდე ერთადერთ საშუალებას, გამოუჩნდა მძლავრი კონკურენტი. ლიტერატურა აქტიურად საზრდოობს ფოლკლორით და, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მის ფუნქციონირებაზე. ქრისტიანობის გავრცელებას მოჰყვა არქაული, ტრადიციული თემატიკის, მოტივების, სახეების ტრანსფორმაცია. შეიქმნა ახალი, აქამდე უცნობი ე. წ. „ბიბლიური ფოლკლორი“. საბოლოოდ დასრულდა აზროვნების მითოსური მოდელიდან მხატვრულ-მეტაფორულზე გადასვლა: მითოლოგიური მსოფლაღმისათვის დამახასიათებელი ძირითადი მენტალური სტრუქტურები, მათი ვერბალური გამოსახულებანი, საკუთრივ მათზე „მიმაგრებული“ არქაული სახე-ხატებია ახალ სააზროვნო სივრცეში, მხატვრულ-პოეტურ დისკურსში, მცირედ ფერნაცვალნი, კვლავ აგრძელებენ აქტიურ ფუნქციონირებას, ოღონდ სხვა აზრს, სხვა განწყობილებას გამოხატავენ, თვისობრივად განსხვავებულ „სამყაროს სურათს“ ქმნიან.

XIX საუკუნეში დაიწყო და XX-ში დასრულდა მრავალსაუკუნოვანი კლასიკური ფოლკლორის ერა: საფუძველი მოერყა მონუმენტურ ზეპირსიტყვიერ ტრადიციებს, რადიკალურად შეიცვალა ჯერ ფოლკლორული გარემო, შემდეგ კი თვით ფოლკლორი. ამის კვალდაკვალ საფუძველი ჩაეყარა ახალ ტრადიციას- პოსტკლასიკურ ფოლკლორს (მაკარაძე, 2017:280-294).

სოფლის სოციალურმა ტრანსფორმაციამ, მწიგნობრიობის მასობრივად გავრცელებამ, მასკულტურის მოძალებამ, ტექნოლოგიურმა ცივილიზაციამ თანამედროვე სოფლის ფოლკლორი გადააქცია პროცედურად, კოლაჟად სახეებისა, სტერეოტიპებისა, ფორმულებისა, რომლებიც მომდინარეობს სხვადასხვა ზეპირი, ვიზუალური, წერილობითი წყაროებიდან. ვრცელი თხრობების ადგილი დაიკავა ფრაგმენტულმა ნარატიულმა კლიშეებმა, ტექსტსიგნალმა, შეიცვალა ჟანრთა განლაგება, გადახალისდა თემატიკა, გაძლიერდა ინდივიდუალურ-შემოქმედებითი საწყისი. ყველაფერი ეს კი საფუძველს გვაძლევს ვისაუბროთ ფოლკლორის ისტორიაში ახალ, პოსტკლასიკურ პერიოდზე.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ბარდაველიძე ჯონდო, ლიტერატურამდელი ხალხური ლექსი, კრებულში: ლიტერატურული ძიებანი, XIX, თბილისი. 1998;

2. ბარდაველიძე ჯონდო, ხალხური ლექსი მწერლობის ჩამოყალიბების შემდეგ, კრებულში: ლიტერატურული ძიებანი, XX, თბილისი. 1999;

3. ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი.1937;

4. კიკნაძე ზურაბ, ქართული ფოლკლორი, თბილისი. 2006;

5. მაკარაძე ელგუჯა, ხალხური ლექსის თეორიის საკითხები, ბათუმი. 2013;

6. მაკარაძე ელგუჯა, პოსტკლასიკური ფოლკლორი, კრებულში: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები, II, ბათუმი. 2017;

7. ხიდაშელი მანანა, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბილისი. 2001;

8. ხახანაშვილი ალექსანდრე, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, ტფილისი. 1905.

Annotation

Historical Types of Georgian Folklore

The earliest records of Georgian folklore are made just two centuries ago, which does not allow us to restore the precise path it went trough from ancient times until today. However, the fact that next to the new texts in folklore are remained older patterns as well, gives us opportunity to identify the major historical stages, levels, and periods. Considering the types of traditionality of Georgian folklore, three periods might be outlined: 1) archaic 2) classical 3) postclassical.